

# 24 საათი

"24 საათის" ფიქციური ნომერი

## \*2424

მყარი კავშირი

A3



ვარდებიდან - კომპოსტომდე

A4



მიზა თუ ბრიზა

A10



# "კვანძის გახსნის" მოლოდინში

თამარ ხორბალაძე

9 აპრილის შემდეგ საქართველოში ახალი პოლიტიკური რეალობის ჩამოყალიბების მცდელობა გრძელდება. ოპოზიცია კვლავ პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს, პროტესტის ახალ ფორმებს "ამუშავებს" და სიტუაციის გამწვავებისთვის ზრუნავს. ხელისუფლება იგნორირება-ჩაურევლობის პოლიტიკას მისდევს, დიალოგზე საუბარს აგრძელებს და შეთავაზებების სხვადასხვა პაკეტების მოსინჯვას ახდენს. მხარეები ერთ მავიდასთან ჯერ არ დამსხდარან, თუმცა თანდათან იკვეთება თემები, რომლებზეც დიალოგი შეიძლება შედგეს - თუკი დიალოგის დასაწყებად საკმარისი საბაზი ანუ არგუმენტი მოიძებნა. ქვეყანა კი კვლავ "კვანძის გახსნის" მოლოდინით ცხოვრობს.

ბაზრძილაბა A3 გვირდობა



აქცია ავლაბრის რეზიდენციასთან

## ოპოზიციის სიურპრიზები

პარლამენტის შენობის წინ მდებარე ტერიტორია 9 აპრილს დაწყებული საპროტესტო აქციის ეპიცენტრს წარმოადგენს. სწორედ აქ ხმოვანდება ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც შემდგომში აქციის ორგანიზატორები და მონაწილეები ახორციელებენ. გუშინ ოპოზიციამ საკანონმდებლო ორგანოს "სრული იზოლაცია" მოახდინა - პიკეტირებული პარლამენტის უკანა შესასვლელიც. იქ ოპოზიციის 50-მდე აქტივისტი "გამაგრდა".

ოპოზიციის ლიდერებმა "ოკუპირებულ" ტერიტორიაზე "საგანმანათლებლო ცენტრის" მოწყობა განიზარაეს: გაი მისისაშვილი და კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტის უკანა შესასვლელის მიმდებარე ტერიტორიაზე "ლიდერთა სკოლის" სტუდენტებისთვის ლექციის წაკითხვას აპირებდნენ. შერჩეული იყო ლექციის თემა: "წინამძღოლის როლი საქართველოს გარდამავალ პერიოდში". თუმცა, "პროექტი" ჩაიშალა - გაი მისისაშვილი ავადამყოფობის გამო ლექციაზე ვერ მივიდა.

თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ახალციხიდან ეხმაურება. მისი განცხადებით, თუ მხარეები პრობლემების გადასაჭრელად დიალოგის მაგიდასთან არ დასხდებიან, "იმ ადამიანებს,

ვისაც პოლიტიკაში ყოფნის პრეტენზია აქვთ და პოლიტიკური სკამებისთვის იბრძვიან, ეს სკამები გვერდზე მორჩებათ."

"მე მესმის ხალხის დიდი ნაწილის, რომელიც ქუჩაშია გასული, მესმის მათი პრობლემების, თუმცა სახლში უფრო მეტი ადამიანია და მათაც ძალიან უჭირთ," - განაცხადა გუშინ მიხეილ სააკაშვილმა ახალციხეში ვიზიტის დროს.

დიალოგის აუცილებლობაზე სახელისუფლებო გუნდის სხვა წევრებიც საუბრობენ...

"ჩვენ კარგად გვესმის იმ ხალხის, რომლებიც პრობლემების გამო ქუჩაში გავიდნენ. ისინი აქციაზე ტყუილ-უბრალოდ ნამდვილად არ მისულან: ზოგს სოციალური პრობლემები აწუხებს, ზოგმა სამართალს ვერ მიაგნო, ზოგი ფიქრობს, რომ მისი უფლებები ილახება და ასე შემდეგ. ამ ყველაფრის გამოსასწორებლად საჭიროა პოლიტიკური რეფორმები და აღნიშნულ თემებზე დიალოგის დაწყება," - აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი.

მისივე თქმით, დიალოგის კარი ნებისმიერი პოლიტიკური ჯგუფისთვის ღიაა და სახელისუფლებო გუნდი არც ერთ ოპოზიციურ ძალასთან არ აპირებს დაპირისპირებას.

ბაზრძილაბა A2 გვირდობა

## პროტესტის მასშტაბების გაზრდა გადაიდო

დათო ბაჩისონია

პოლიტიკური ოპოზიცია პროტესტის გამოხატვისთვის შერჩეულ ადგილებს ყოველდღიურად ახალ სახელმწიფო დაწესებულებას ამატებს. გუშინ რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ხალხს "ხალხის პარტიის" ლიდერმა კობა დავითაშვილმა დღის სამოქმედო გეგმა გააცნო. ამჯერად, პარლამენტის შენობის წინ მყოფ დემონსტრანტთა ნაწილი სახელმწიფო კანცელარიისკენ გაემართა. რამდენიმე ოპოზიციონერის სიტყვით გამოსვლის შემდეგ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილ შენობასთან აქტივისტებმა წინასწარ გაკეთებული საკანი მიიტანეს და მას №0 იქვე დაანერგეს. ოპოზიციონერ გოგა ხაინდრავას თქმით, სწორედ ასეთი ადგილის ბინადრები არიან კანცელარიაში. გარდა ამისა, ოპოზიციის მხარდამჭერები კვლავინდებურად შეიკრიბნენ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან და "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შენობასთან. "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" წევრები ავლაბარში ახვლედიანის აღმართთან დაჯგუფდნენ, ხოლო "კონსერვატორები", "ხალხის პარტია" და "მოძრაობა ერთიანი

საქართველოსთვის" წევრები რეზიდენციის ერთ-ერთ შესასვლელთან შეიკრიბნენ. მათ რეზიდენციასთან პროტესტის ნიშნად საკმაოდ დიდი თაიგული მიიტანეს. წინა დღეებისაგან განსხვავებით, დაახლოებით, 19:00 საათზე "1 არხის" შენობასთან ინდივიდუალურად მივიდნენ "ალიანსი საქართველოსთვის" და ლევან გაჩეჩილაძის მხარდამჭერები.

გუშინ პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერებმა მედიის წარმომადგენლებთან პოლიტიკური პროცესის შემდგომ განვითარებაზე ისაუბრეს. "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განმარტა, რომ "სავარაუდოდ, მომავალი კვირიდან აქციის მასშტაბები გაიზრდება. უახლოეს დღეებში გადაწყდება, თუ რომელი ლიდერი რომელ რეგიონში გაემგზავრება. ისინი ხალხში გავლენ და ალბათ იქაც გაიშლება საპროტესტო აქციები. არსებული მუხტი მომავალი კვირიდან კიდევ უფრო გაიზრდება. რადგან ხელისუფლება ჩვენთან შეხვედრას იგნორირებას უკეთებს, ჩვენ ვთქვით, რომ ეს კიდევ უფრო გაზრდის უნდობლობას და ხელს შეუშლის პოლიტიკური კრიზისის დარეგულირებას."

ბაზრძილაბა A2 გვირდობა

**24 საათი**

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე [www.24saati.ge](http://www.24saati.ge)

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK  
ჩვენ ვაძლევთ უკომპრომიზო

GRDC group  
პანის სადაზღვეო ჯგუფი











# ახალი "უოთარბაიტი"

## გორდონ ბრაუნს უსამართლო თამაშში მონაწილეობის უარყოფა უხდება

კირილ კობრინი  
რაიონ თაიხაშლა.



გორდონ ბრაუნი

დიდ ბრიტანეთში ახალი პოლიტიკური სკანდალი მნიშვნელოვანია. საქმე ქვეყნის პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნის მრჩევლების მიერ ოპოზიციურ "კონსერვატორთა პარტიის" ლიდერების წინააღმდეგ "ბინძური" ინტერნეტ-კამპანიის ორგანიზების მცდელობებს უკავშირდება. ბრაუნის უახლოესი თანამშრომელი უკვე გათავისუფლებულია სამსახურიდან. თავად კაბინეტის ხელმძღვანელი კი მომხდარის გამო მწუხარებას გამოთქვამს. ექსპერტები "ლეიბორისტების" რეპუტაციის სერიოზულ შელახვაზე ლაპარაკობენ.

სკანდალი გასულ კვირას დაიწყო, როდესაც ჟურნალისტებს რამდენიმე ელექტრონული წერილი ჩაუვარდათ ხელში. მათი ავტორი გორდონ ბრაუნის პოლიტიკური მრჩეველი დემიან მაკბრაიდი იყო, ადრესატი კი ცნობილი ჟურნალისტი დერიკ დრეპერი, რომელსაც "ლეიბორისტების" ბლოგერს უწოდებენ.

წერილების შინაარსი ასეთია: დემიან მაკბრაიდი დრეპერს სპეციალური ინტერნეტ-საიტის შექმნას სთავაზობს, რომელიც "კონსერვატორთა" ლიდერების დისკრედიტაციის ბაზა იქნებოდა. ბრიტანულ პოლიტიკაში ძალიან ბევრი სხვადასხვაგვარი მოვლენა მომხდარა, მაგრამ ასეთი ბინძური თამაში ჯერ არ ყოფილა. მას შემდეგ, რაც წერილები ჟურნალისტების ხელში აღმოჩნდა, ამ თემის შესახებ აზრი პოლიტიკოსებშიც გამოთქვეს. შედეგი კი სკანდალია, რომელიც "ლეიბორისტებს" რეპუტაციაზე სერიოზულ დარტყმად შემოუბრუნდა.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი მომხდარზე რამდენიმე დღე ფიქრობდა. გუშინ კი განაცხადა, რომ მაკბრაიდი იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ტონი ბლერის დროს ცნობილი პიარ-სპეციალისტი და მრჩეველი ალისტერ კემპბელი, თუმცა დაუნიგ-სტორიის 10 ნომერში მაკბრაიდი გორდონ ბრაუნის შიდა გარემოცვის ძალზე მნიშვნელოვან ფიგურას უწოდებენ. და აი, ელექტრონული მიმონერის სკანდალის შემდეგ პრემიერი მაკბრაიდი შეეცადა.

გორდონ ბრაუნს უსამართლო თამაშში მონაწილეობის უარყოფა უხდება. მრჩევლების როლმა ბოლო ორი "ლეიბორისტი" პრემიერის - ბლერისა და ბრაუნის მმართველობისას წარმოუდგენელი მნიშვნელობა შეიძინა. ზემოთ ნახსენები ალისტერ კემპბელი და ტონი ბლერის კიდევ ერთი მრჩეველი ბერნარდ ინგემი პრემიერის პრესასთან ურთიერთობას, მის ქმედებებს კულისებს მიღმა და მსგავს მანევრებს პრაქტიკულად სრულად განაგებდნენ. ერთ-ერთი მთავარი პუნქტი, რომელშიც გორდონ ბრაუნი ტონი ბლერის არეთანხმებოდა, იყო ის, რომ ამჟამინდელი პრემიერი ასეთ პრაქტიკაზე უკვე თანამდებობაზე დანიშნვის შემდეგაც უარს ამბობდა.

თუმცა ელექტრონული წერილების სკანდალის მაგალითმა აჩვენა, რომ ეს არ მომხდარა - მისი "გმირები" "ლეიბორისტულ" კაბინეტში და ბრაუნის შიდა წრეში ძველებურად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. და აი, ახლა ბრაუნმა დარტყმა მათ გამოც მიიღო. პრემიერმა განაცხადა, რომ გეგმავს, მრჩევლების საკითხს სერიოზულად გადახედოს.

მომხდარით აღშფოთებულნი არიან ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის წევრები. ჯანდაცვის მინისტრ ალან ჯონსონის თქმით, მას, უბრალოდ, რცხვენია, რომ "ლეიბორისტი": "გაოცებული ვარ, შოკირებული ვარ, მომხდარის მიმართ უბრალოდ ზიზლს ვგრძნობ." ასე მკვეთრად არა, მაგრამ, დაახლოებით, ამავე სტილში გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება სხვა "ლეიბორისტებმა".

# მედვედი დამოუკიდებელ პრესას პატივს სცემს

გუშინდელ "ნოვია გაზეტაში" გამოქვეყნდა ინტერვიუ რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევთან. ეს მისი პირველი ინტერვიუა, რომელიც რუსულ გაზეთს მისცა (უცხოური გაზეთებისთვის არაერთი ინტერვიუ აქვს მიცემული). მედვედევს პრეს-მდივანმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი მომავალში სხვა გაზეთებსაც შეხვდება. საუბრის შინაარსის მიუხედავად, თვით ინტერვიუს მიცემის ფაქტი, რომელიც ანონსირებული იყო, უკვე მნიშვნელოვან ნაბიჯად შეფასდა რუსულ თუ საერთაშორისო მედიაში. "ნოვია გაზეტა" დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, კრემლის მიმართ ამკარად გამომხატული ოპოზიციური განწყობით. სხვადასხვა დროს მოკლულია ამ გაზეთის რამდენიმე ჟურნალისტი (აქედან ყველაზე ცნობილია ანა პოლიტკოვსკაია შემთხვევა).

ინტერვიუს შესახებ შეთანხმება იანვარში შედგა, როცა მედვედევმა სტანისლავ მარკელოვისა და ანასტასია ბაბუროვას მკვლელობის გამო, ფაქტობრივად, მისასამიმრებლად მიიღო გაზეთის რედაქტორი დმიტრი მურატოვი და გამოცემის ერთ-ერთი მფლობელი, საბჭოთა კავშირის ყოფილი პრეზიდენტი მიხაილ გორბაჩოვი.

საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ მთლიანად რუსეთის საშინაო პრობლემებს ეხება. მასში საგარეო პოლიტიკაზე არაფერია ნათქვამი. შედარებით საინტერესო თემებს შორის არის ხოლორკოვსკი-ლენინდევის საქმე, ზოგადად დემოკრატიის მდგომარეობა და მისდამი ხელისუფლების მიდგომა, ჩინოვნიკების ქონებრივი დეკლარაციები, პრეზიდენტის პარტიულობა, სოჭის არჩევნები (გაზეთისთვის ყველაზე აქტუალური საკითხი). ზოგადად დემოკრატიაზე საუბრისას მედვედევმა განაცხადა, რომ დემოკრატია თავისთავად არავითარი რეაბილიტაცია არ სჭირდება, ის ისტორიული და ზეეროვნული კატეგორიაა და ზოგი ამ ტერმინს, უბრალოდ, სწორად ვერ აღიქვამს. მისი აზრით, დემოკრატია იყო, არის და იქნება.

რუსეთის პრეზიდენტმა პრინციპულად დაუშვებლად მიიჩნია სასამართლოს საქმეში ჩარევა და "იუკოსის საქმეზე" რაიმე აზრის გამოთქმა. მედვედევი სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხზე ზოგადი მსჯელობისას არ მოერიდა დევიდ იუმის ციტატის მოყვანასაც: "მთელი პოლიტიკური სისტემა მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ მოსამართლეებს შეეძლოს, დამოუკიდებლად შეასრულონ თავიანთი ფუნქციები." ჩინოვნიკებისა და მათი ცოლების ქონებაზე საუბრისას პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ცუდს ვერაფერს ხედავს იმაში, თუ ჩინოვნიკების ცოლები ბიზნესით იქნებიან დაკავებული, უბრალოდ, არ უნდა წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი მათი ქმრების საქმიანობასთან. მედვედევმა გამორიცხა თავისი განცხადება რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში, მათ შორის "ერთიანი რუსეთში" და განაცხადა, რომ რუსეთში პოლიტიკური სისტემის არასაკმარისი განვითარების გამო ამ ეტაპზე ეს არასწორია.

დმიტრი მედვედევმა თავი აარიდა სოჭის არჩევნების თემაზე პირდაპირ პასუხს, როცა გაზეთის რედაქტორმა დმიტრი მურატოვმა ალექსანდრ ლენინდევის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ჰკითხა (ლენინდევმა "ნოვია გაზეტას" მსხვილი აქციონერი). რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არ იცის, ვინ და რატომ მოხსნეს საარჩევნო მარათონიდან, თუმცა აღნიშნა, რომ მხარს უჭერს "სრულფასოვან პოლიტიკურ შერკინებას..."

შეიძლება თვით ინტერვიუზე უფრო საინტერესო ის სიტყვებია, რომლითაც პრეზიდენტმა გაზეთის რედაქტორს მიანიშნა, რომ პატივს სცემს დამოუკიდებელ მედიას. დმიტრი მურატოვმა "ბლოგში" ის ფრაზა გამოაქვეყნა, რომლითაც მას მედვედევი დაემშვიდობა:

მედვედევი: იცით, რატომ მივეცი ინტერვიუ სწორედ "ნოვია გაზეტას"? თქვენ არასდროს არავის "არაფერს ულოკავდით".

მურატოვი: სამწუხაროა, რომ დიქტოფონი უკვე გამოვრთე!!!!

მედვედევი: ისე გამოაქვეყნეთ ჩემი სიტყვები, მე დავადასტურებ, რომ ეს ვთქვი.

"ნოვია გაზეტას" აქციების 51 პროცენტი რედაქციის კოლექტივს ეკუთვნის, 39-პროცენტიანი პაკეტი ბიზნესმენ ალექსანდრ ლენინდევის საკუთრებაა, ხოლო 10 პროცენტს მიხაილ გორბაჩოვი ფლობს.

ივა შილაკაძე



**სამართაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) კორპორაციული მართვის პროექტი და საქართველოს საფონდო ბირჟა აცხადებენ კონკურსს „საშუაშორისო წლიური ანგარიში“**

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ინფორმაციის გამჟღავნების ხარისხის გაუმჯობესებას და წლიური ანგარიშის მომზადების და გამოცემის პრაქტიკას ქართულ ბანკებსა და კომპანიებში.

გამარჯვებულის გამოსავლენად საკონკურსო კომისია ძირითადად ინფორმაციის მიწოდებას პრინციპით: რამდენად საკმარისი და არსებითია წლიური ანგარიშით გამჟღავნებული (როგორც ფინანსური ასევე არაფინანსური) ინფორმაცია აქციონერებისთვის, ინვესტორებისთვის, კრედიტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კომპანიებმა და ბანკებმა უნდა წარმოადგინონ წლიური ანგარიშები ელექტრონული და ამობეჭდილი ან სტამბურად დაბეჭდილი ფორმით.

საკონკურსოდ, წლიური ანგარიშის წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2009 წლის 30 ივნისის 17:00 საათი, მისამართზე – თბილისი, ნ. ნიკოლაძის 7, მე-2 სართული, ან ელ. ფოსტაზე: Nkartozia@ifc.org.

წლიური ანგარიშის წარმოდგენისას განაცხადის ფორმაში/წერილში უნდა მიეთითოს: კომპანიის/ბანკის დასახელება, დირექტორის სახელი და გვარი, საკონტაქტო პირის სახელი და გვარი, კომპანიის/ბანკის და საკონტაქტო პირის კოორდინატები (მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა).

წლიური ანგარიშის მომზადების პროცესში კორპორაციული მართვის პროექტი უსასყიდლოდ ვთავაზობთ კონსულტაციებს, სამოდელო დოკუმენტებსა და რეკომენდაციებს. მოგვმართეთ მისამართზე – ნ. ნიკოლაძის 7, მე-2 სართული ან დაგვირეკეთ: +995 32 92 35 23/24/27

# უნგრეთში არც ახალი პრემიერი მოვლინდა

### საპროტესტო გამოსვლები არეულობაში გადაიზარდა

ივანე შილაკაძე

14 აპრილს უნგრეთის პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით ახალი პრემიერ-მინისტრი გორდონ ბაიანი დაამტკიცა. მან შეცვალა ფერენც დიურჩანი, რომელიც 21 მარტს გადადგა.

დიურჩანი დიდი ხანია, არაპოპულარულ ხელმძღვანელად მიიჩნეოდა, მის წინააღმდეგ ადრეც იყო გამოსვლები. მაშინ ის გადარჩა, თუმცა საბოლოოდ თანამდებობის დატოვება მძიმე ეკონომიკური კრიზისის შემდეგ მაინც მოუწია. უნგრეთი ყველაზე მეტად დაზარალებულთა შორის მოხვდა და შემოდგომაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან 25,1-მილიარდიანი კრედიტის აღება დაჭირდა. დიურჩანმა გადადგომისას აღიარა, რომ სოციალური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას, აგრეთვე სხვადასხვა ძალებს შორის თანამშრომლობას, როგორც ჩანს, მისი პიროვნება უშლის ხელს.

ოპოზიციას არც ახალი პრემიერის კანდიდატურა მოეწონა. ის დამოუკიდებელი პოლიტიკოსია, მმართველი "სოციალისტური პარტიის" წევრი არ არის, თუმცა მათ წარმომადგენლად მიიჩნევა და დიურჩანის კაბინეტში ეკონომიკისა და განვითარების მინისტრის თანამდებობა ეკავა. გორდონ ბაიანის დანიშვნას უნგრეთის პარლამენტის 336 წევრიდან 204-მა დაუჭირა მხარი. ახალი



AFP, 2009

ლი პრემიერი მკაცრი და არაპოპულარული რეფორმების გატარებას აპირებს, მათ შორის გადასახადების შემცირებას მათთვის, ვინც სამუშაო ადგილებს ქმნის, აგრეთვე ზოგიერთი დარგის დახმარებას. მან ისიც განაცხადა, რომ თუ პარლამენტი მის პროგრამას არ დაამტკიცებს, გადადგება და ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს.

ოპოზიციურმა პარტიამ "ფიდეშმა", რომელმაც მხარი არ დაუჭირა ახალი პრემიერის დამტკიცებას, განაცხადა, რომ ბაიანის დანიშვნა იმ პრემიერის (იგულისხმება დიურჩანი) მანდატის გაგრძელებაა, რომელმაც საქმეს თავი ვერ გაართვა. ოპოზიცია ვადამდელ არჩევნებს მოითხოვს.

გორდონ ბაიანის დანიშვნას ხალხის საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. ქუჩაში რამდენიმე ათასი ადამიანი გამოვიდა. გამოსვლების დროს პოლიციასთან შეტაკებები მოხდა, არიან დაშავებულებიც. დემონსტრანტებმა პოლიციის კორდონის გასარღვევად მოტოციკლები გამოიყენეს, ერთ ადგილას გაარღვიეს კიდეც, თუმცა პოლიციამ საპასუხოდ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა და დემონსტრანტები შეაჩერა. დაშავებულთა 30 კაცი - 11 დემონსტრანტი და 19 პოლიციელი. 13 ადამიანი დააპატიმრეს. აქციის მონაწილეებიც პარლამენტის დათხოვნას და ვადამდელ არჩევნებს ითხოვდნენ.

# ირანის მზადყოფნა

### თეირანს მოლაპარაკებების "სუფთა ფურცლიდან" გაგრძელება სურს

მარიკა იაშვილი

ირანი მზად არის, დაივიწყოს წარსული და ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებები "სუფთა ფურცლიდან" გააგრძელოს, აცხადებს ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი. თუმცა თუ მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია არ შეიცვლება და დიალოგის წარმოება ისევ ირანისთვის მათი ნების თავზე მოხვევას იგულისხმებს, "ირანის პასუხი ისეთივე იქნება, როგორც ბუშმა მიიღო," - ხაზგასმით აღნიშნა კერმანის პროვინციაში საქმიანი ვიზიტით მყოფმა აჰმადინეჯადმა.

ირანის ლიდერის თქმით, ამჟამად თეირანი "5+1" ფორმატის ჯგუფისათვის (გაერო-ს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი და გერმანია) წინადადებათა პაკეტს ამზადებს, რომლის საფუძველზეც მომავალი მოლაპარაკებები უნდა წარიმართოს.

"ჩვენ პრობლემის დიპლომატიური გზებით მოგვარებას გვთავაზობენ. ჩვენ ამას ვეთანხმებით და თავადაც დიალოგის მომხრე ვართ," - განაცხადა აჰმადინეჯადმა. მაგრამ ირანელ ხალხთან დიალოგის ძალისმიერი პოზიციიდან წარმოება, მისი აზრით, "ჩიხისკენ მიმავალი გზაა, რომელიც საქმეს მკვდარი ნერტილიდან ვერ დაძრავს." დღესდღეობით ვითარება ისეთია, რომ "არც ერთ ზე-სახელმწიფოს არ შესწევს ძალა, რამე მოახვიოს თავზე ირანელ ხალხს," - აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა.

გასულ კვირას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ამერიკა უერთდება გაერო-სა და ევროპული ქვეყნების ირანთან მოლაპარაკებებს ბირთვული პროგ-



მაჰმუდ აჰმადინეჯადი

AFP, 2009

რამის შესახებ. აშშ-მ ევროკავშირის კომისარს საგარეო პოლიტიკის საკითხებში ჰავიერ სოლანას სთხოვა, ირანი ექვსეულის ახალ მოლაპარაკებებზე მიიწვიოს. ექვსეულში გაერო-ს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი - აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთი და პლიუს გერმანია შედიან. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი

კლინტონმა აღნიშნა, რომ ამერიკა ამიერიდან ირანთან "ექვსეულის" დიალოგის სრულფასოვანი მონაწილე იქნება.

ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი პასუხად აცხადებს, რომ ირანელი ხალხი ამ ნაბიჯს იმ შემთხვევაში მიესალმება, თუ ის მართლა პატივისცემითა და სამართლიანობით არის ნაკარნახევი.

ირანის ლიდერის უფროსმა მრჩეველმა ალი აკბარ ჯავანფერმა გასულ კვირას განაცხადა, რომ ირანი ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებებზე გადაწყვეტილებას მას შემდეგ მიიღებს, რაც დისკუსიის წარმოებისთვის მიღებულ შემოთავაზებებს შეისწავლის.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ირანისადმი

თავისი კეთილგანწყობის დემონსტრირება თითქმის ინაუგურაციისთანავე დაიწყო. მარტში ობამა ირანელი ხალხისადმი ტელემიმართვით გამოვიდა და მათ ორმხრივი კავშირის აღდგენისა და ურთიერთობების "ხელახლა დაწყებისაკენ" მოუწოდა.

სამშაბათს გაზეთმა "ნიუ იორკ თაიმსმა" გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აშშ მზად არის, ირანს ბირთვული იარაღის შესახებ მოლაპარაკებათა ახალი სტრატეგია შესთავაზოს და ობამას ადმინისტრაცია ევროკავშირთან ერთად ახალ წინადადებას ამზადებს. ძველი სტრატეგიისგან მთავარი განსხვავება კი ის იქნება, რომ ამერიკა ირანისგან ყველა ბირთვული ობიექტის დაუყოვნებლივ დახურვას დიალოგის საწყის ეტაპზევე აღარ მოითხოვს.

ამგვარად თეირანი შეძლებს, ურანის გამდიდრებაზე მუშაობა მოლაპარაკებების დროსაც გააგრძელოს. დიალოგის ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება წინადადება ირანისადმი, რომ თავისი ბირთვული ობიექტები ინსპექციისთვის ხელმისაწვდომი გახადოს.

თუმცა ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აშშ-ს ნებისმიერი პოლიტიკა, გაერო-ს უშიშროების საბჭოს რამდენიმე რეზოლუციის შესაბამისად, ირანისგან საბოლოოდ მაინც მოითხოვს ურანის გამდიდრების სრულად შეწყვეტას. გაერო-ს უშიშროების საბჭომ უკვე ორჯერ გაამკაცრა ირანის წინააღმდეგ სანქციები, რომლებიც ურანის გამდიდრების შეწყვეტაზე თეირანის უარის გამო დააწესა. ირანი განაგრძობს მტკიცებას, რომ ბირთვული პროგრამა არა საომარი, არამედ მხოლოდ ენერგეტიკული მიზნით ხორციელდება.



# რევიუ



ტოკიოს "დისნეილენდში" ახალ სეზონთან ერთად ახალი ატრაქციონიც გაიხსნა. ატრაქციონი ცნობილი ანიმაციური ფილმის, "მონსტრების კორპორაციის" იდეაზე დაფუძნებული და ცხადია, მისი მთავარი გმირები ან მფილმის პერსონაჟები სურვი და მაიკი არიან. ტოკიოს "დისნეილენდის" ხელმძღვანელობამ ახალი ატრაქციონებისთვის 100 მილიონი დოლარი დახარჯა და იმედოვნებს, რომ ამ თანხას ზაფხულის სეზონის განმავლობაში მთლიანად ამოიღებენ.

AFP - 2009

## აზიური აუქციონის შედეგები

Sotheby's აზიური ხელოვნების აუქციონის შემოსავალმა 88 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი შეადგინა, რაც მოსალოდნელზე თერთმეტი პროცენტით მაღალი მაჩვენებელია. ამ აუქციონის ყველაზე ძვირფასი ლოტი აღმოჩნდა ჰონკონგში ცინის დინასტიის ეპოქის ფაიფურის ჩინური ვაზა, რომელიც 6,1 მილიონ დოლარად გაიყიდა. ამის შესახებ Reuters-ი იუწყება.

ეს ვაზა შედიოდა კოლექციაში - "რვა განძი". ის ევროპაში XX საუკუნის შუახანებში შეაგროვეს. კოლექცია, რომელიც რვა ფაიფურის ვაზისგან შედგებოდა, ცინის მეხუთე და მეექვსე დინასტიის (1723-1795 წწ.) იმპერატორთა მმართველობისას შეიქმნა.

აუქციონზე რეკორდებიც დამყარდა. თანამედროვე ჩინელი მხატვრის, ლინია ფენმინას "დაჭერილი თევზი" 2,1 მილიონ დოლარად გაიყიდა, ხოლო ჩუუ იანჩუს "საიდუმლო საღამო" - 770 ათას დოლარად.



ჩინური ფერწერის ლოტების უმრავლესობა საზოგადოებამ ენთუზი

ზიანზის გარეშე მიიღო, ამის შესახებ Reuters-ი აღნიშნავს. მოლოდი-

ნი არც ჩინურმა კერამიკამ გამამართლა. კერამიკული ნაწარმის უმრავლესობამ მყიდველი ვერ იპოვა. ცუდად გაიყიდა მინის დინასტიის (1368-1644 წწ.) იშვიათი ავეჯიც.

ამ სააგენტოსთან მოსაუბრენი ირწმუნებიან, რომ ლოტების დაბალ ფასებში გაყიდვა მათი მფლობელების გადამეტებულ მოლოდინზე იყო დამოკიდებული. Sotheby's ჩინური ხელოვნებისა და კერამიკის განყოფილების ხელმძღვანელმა ნიკოლას ჩოუმ აღნიშნა, რომ აზიური აუქციონის ფასები უფრო გონივრული გახდა, მყიდველები კი ფულს დიდი სიფრთხილით ხარჯავენ, ისინი მხოლოდ საუკეთესო შედეგებს ყიდულობენ. ამ განყოფილების ხელმძღვანელის მოსაზრებით, ეს მსოფლიო ფინანსური კრიზისის ბრალია.

ბევრმა ამ აუქციონის ორგანიზატორები იმის გამო გააკრიტიკა, რომ მათ აუქციონის გამართვის თარიღი დაგვიანებით გამოაცხა-

დეს. განაცხადებების მიღება 2008 წლის სექტემბერ-ნოემბერში მიმდინარეობდა, ამ დროს მყიდველებმა არ იცოდნენ თუ როგორ აისახებოდა მსოფლიო კრიზისი ხელოვნების ბაზარზე. ეს მოსაზრება Reuters-ის არტ დილერმა, ჯეიმს ლალიმ გამოთქვა. მყიდველთაგან ბევრმა ვერ გარისკა აუქციონზე გასაყიდად თავისი კოლექციის საუკეთესო ნიმუშები გაეტანა.

Sotheby's სახლმა აზიური ხელოვნების აუქციონი ჰონკონგში პირველად ჩაატარა. აქამდე მსგავსი აუქციონები ნელინადში ორჯერ აშშ-ში იმართებოდა. უკანასკნელი ვაჭრობა იქ გასული წლის 17 სექტემბერს მოეწყო. Sotheby's კონკურენტი Christie's აზიაში მდიდარი აზიელი კოლექციონერების მიზნით გადავიდა. თუმცა, ჩინური ხელოვნებისადმი დაინტერესების ტენდენცია სწორედ Sotheby's მიერ ორგანიზებულმა აუქციონმა გამოვლინა.



# ჰიტი №1

BBC-ს Radio2-მა ყველა დროის საუკეთესო კომპოზიციების

ყოველდღიურად რადიოთი რამდენიმე ათეულ სიმღერას ვისმენთ, მათი ნაწილი ჩვენთვის საყვარელ მუსიკოსებს ეკუთვნით, ნაწილს კი პირველად ვუსმენთ და შესაბამისად მოგვწონს ან არა. თუმცა არის სიმღერები, რომელთა მოსმენაც ყველა დროისა და ქვეყნის მსმენელს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ტელეკომპანია BBC-ს Radio2-მა გამოაქვეყნა იმ შემსრულებელთა კომპოზიციების საუკეთესო ათეული, რომლებიც უკანასკნელი 75 წლის განმავლობაში რადიოს ეთერში ყველაზე მეტჯერ აუღერდა.



პირველ ადგილზე 60-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბრიტანული ჯგუფის, Procol Harum-ის ნომერ პირველი ჰიტი A Whiter Shade of Pale გავიდა. აღმოჩნდა, რომ ამ წლების განმავლობაში რადიოსმენელი ყველაზე ხშირად სწორედ ამ კომპოზიციის გაშვებას ითხოვდა და უძღვნიდნენ შეყვარებულებს, მშობლებს, სამშობლოს თუ მეზობლებს. აღნიშნული სიმღერა ჯგუფის ფრონტმენმა ჰარი ბრუკერმა 1967 წელს დაწერა და როგორც მოგვიანებით თავადვე იხსენებდა, მასში იმ დროინდელი ლონდონის მთელი მუსიკალურობა და პოპ კულტურის ხასიათი ჩააქსოვა. A Whiter Shade of Pale ბრიტანეთის ჩართებში ექვსი კვირის განმავლობაში პირველ ადგილს ინარჩუნებდა, მისი მოსმენა კი პრაქტიკულად ყველგან შეგეძლოთ: რადიო ეთერით, კაფეებში, ქუჩაში თუ სტუმრად მეგობართან. ცხადია ამ პოპულარული სიმღერის არაერთი ქოვერ ვერსია არსებობს. მათ შორის ენი ლენოქსის, სარა

ბრაიტმანის და სხვა შემსრულებლების ვერსიები. მეორე ადგილზე ასევე ლენდარული ჯგუფის ბრწყინვალე ნამუშევარი - Queen-ის Bohemian Rhapsody. ამ კომპოზიციის ავტორი ფრედი მერკურია და ის ჯგუფის 1975 წლის ალბომ A Night at the Opera-ს ერთ-ერთი საუკეთესო კომპოზიციაცაა. სიმღერას უნიკალური წყობა აქვს, მისი დანაწევრება ექვს ჟანრად შეიძლება: ოპერა. ბალადა, აკაპელა, ჰევი მეტალი და სხვა. ალბომში შეტანამდე Bohemian Rhapsody სინგლის სახით გამოიცა, რამაც არა მხოლოდ ალბომის არამედ თავად ჯგუფის პოპულარობასაც დიდად შეუწყო ხელი. აღსანიშნავია, რომ ამ სიმღერისთვის გადაღებული ვიდეო კლიპების ისტორიაში პირველ ნამუშევრად მიიჩნევა, რადგან მის სცენებში მუსიკოსები არა მხოლოდ სიმღერას ასრულებენ, რამედ დამატებული აქვს სპეცეფექტებიც, რაც მთლიანობაში კლიპის ესთეტიკას ქმნის. მეოთხე ადგილი ერგო 80-იანი წლების პოპულარულ ჯგუფ Wet Wet Wet-ს და მის ჰიტს Love Is All Around. როგორც ათეულის შემდგენლები აცხადებენ, ამ სიმღერას ძირითადად გოგონები და როგორც წესი ვალენტინობის დღესასწაულზე უკვეთდნენ ხოლმე. შემდეგი ადგილი ერგო ასევე 80-იანების ვარსკვლავ ბრაიან ადამსს სიმღერით (Everything I Do) I Do It For You.

ათეული შეადგინა

როგორც გახსოვთ, ეს სიმღერა უღერს კევინ რეინოლდსის ფილმში "რობინ ჰუდი - ქურდების პრინცი", სადაც მთავარ როლებს კევინ კოსტნერი, მერი ელიზბეტ მასტრანტონიო და ალან რიკმანი ასრულებენ.

სიაში მოხვედრილ ჯგუფებსა და შემსრულებლებს შორის ყველაზე ახალგაზრდა და თანამედროვეა რობი უილიამსი სიმღერით Angels. ცხადია, აქვეა როკენროლის მეფე ელვის პრესლიც მსოფლიო ჰიტის All Shook Up. კომპოზიტორ ოტის ბლექუელის ეს კომპოზიცია პრესლიმ 1957 წელს ჩაწერა და ჟურნალ "როლინგ სტოუნის" საუკეთესო 500 სიმღერაში 352-ე ადგილზეა. მერვე ადგილი ერგო 1975 წელს დაწერილი ყველა დროის საუკეთესო საცეკვაო ჰიტს Dancing Queen ABBA-ს შესრულებით. აღნიშნული კომპოზიცია 13 ქვეყნის მუსიკალური ჩართების პირველ ადგილზე მრავალი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა და ჯგუფის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნაწარმოებს წარმოადგენს.

საუკეთესო ათეული კი მთლიანობაში ასეთია:

1. Procol Harum - A Whiter Shade Of Pale
2. Queen - Bohemian Rhapsody
3. Everly Brothers - All I Have To Do Is Dream
4. Wet Wet Wet - Love Is All Around
5. ბრაიან ადამსი- (Everything I Do) I Do It For You
6. რობი უილიამსი - Angels
7. ელვის პრესლი - All Shook Up
8. ABBA - Dancing Queen
9. პერი კომო - Magic Moments
10. ბინგ კროსბი - White Christmas.

# ტრილოგია ტრანსფორმირებულ რობოტებზე

სტივენ სპილბერგმა მაიკლ ბეის ახალი ფილმი დადებითად შეაფასა

მაშინ, როდესაც თბილისის სამი კინოთეატრიდან ერთი აქციების გამო დახურული, ხოლო დანარჩენი ორის აფიშა ნაკლებად საინტერესო და უკვე მოძველებულ "მენიუს" გვპირდება, მსოფლიო კინო სულ უფრო განაგრძობს განვითარებას. არ ვიცი, გველისება თუ არა დიდ ეკრანზე ამ ფილმის ნახვა, თუმცა სათავგადასავლო ჟანრის კინომოყვარულებს უთუოდ დააინტერესებს, რომ პროდიუსერი სტივენ სპილბერგი კმაყოფილი დარჩა მაიკლ ბეის მეორე "ტრანსფორმირებით". მან ფილმის სარეჟისორო ვერსია ნახა და პრესასთან გაკეთებულ კომენტარში აღნიშნა, რომ ეს მაიკლ ბეის საუკეთესო ნამუშევარია.



ამ შექცობით გაამაყებული ბეი თავადაც გაესაუბრა ჟურნალისტებს და შემდეგი მოუთხრო: "სტივენმა მთხოვა, რომ ფილმი მხოლოდ ჩემთან ერთად, სხვების თანდასწრების გარეშე ენახა. ჩვენება 100 ადგილიან დარბაზში გავმართეთ. ფილმის მსვლელობისას მას ხმაც არ ამოუღია. ტიტრების შემდეგ კი მომიბრუნდა და მხოლოდ ერთი სიტყვა მითხრა: "შესანიშნავია!" მსგავსი შეფასება სპილბერგისგან ბევრ რეჟისორს არ რგებია,

რაც იმას ნიშნავს, რომ ბეის ნამუშევარი მართლაც კარგია. მით უმეტეს, რომ პროდიუსერმა ფილმი დაუსრულებელი სპეცეფექტებით ნახა, დარსულებით შემდეგ კი ალბათ სულ გადაირევა. "ტრანსფორმირები 2-ის" პრემიერამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. დიდ ეკრანებზე ფილმი 24 ივნისს გამოვა. ამჟამად კი მისი ოფიციალური ტრეილერი მზადდება, რომელიც ეკრანებზე "X ადამიანები: დასაწყისის" გამოსვლის პარალელურად დატრიალდება. შეგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელის პრემიერა 1 მაისსაა დაგეგმილი. რაც შეეხება ახალ "ტრანსფორმირებს", როგორც მეიკლ ბეი ამბობს, ის პირველ ნაწილთან შედარებით უფრო პირქუში და ეპიკურია. რობოტები გაცილებით ემოციურები არიან, რაც ისტორიას უფრო სანახაობრივს და დამაჯერებელს ხდის. "რობოტებისთვის მეტი ემოციის მიცემა თავად სიუჟეტმა განაპირობა, ჩვენ კი ამისთვის ახალი

ტექნოლოგიები შევიშუშავეთ", - ამბობს ბეი.

რეჟისორმა არც სიუჟეტის რამდენიმე დეტალის მოყოლისგან შეიკავა თავი და "ალიარა", რომ იძულებული გახდა ერთ-ერთი დადებითი რობოტი "მოექლა". არკი მდებრობითი სქესის რობოტია, რომელიც ვარდისფერ კაბრიოლეტშია ტრანსფორმირებული. ბეი არ მალავს, რომ მას თავიდანვე არ მოსწონდა ეს ზედმეტად ეკლეუცი პერსონაჟი, ამიტომ ფილმის გადაღებისას მისი ლიკვიდაციის გადწყვეტილებაც მიიღო. "მათი ემოციურობიდან გამომდინარე, ამ პერსონაჟებს ისე აღვიქვამ, როგორც ადამიანებს, ამიტომ მიმაჩნია, რომ მათი ცხოვრება შესაბამისად უნდა განვითარდეს," - განმარტავს ბეი.

პარალელურად ცნობილი გახდა, რომ მაიკლ ბეი "ტრანსფორმირების" ტრილოგიად ქცევას აპირებს, თუმცა ადრე გამოცხადებული 2011 წლის ნაცვლად, მესამე სერია 2012 წელს გამოვა. ამ დროისთვის კი სპეცეფექტები იმდენად დაიხვეწება, რომ თანამედროვე მაყურებლისთვის ალბათ ძნელი წარმოსადგენია, რა სანახაობა გველის ტრილოგიის მესამე ნაწილში.



# აფიშა

16 აპრილი

თეატრი

**რუსთაველის თეატრი (ექპერიმენტული სცენა)**  
"კვერცხი"  
დასაწყისი: 19.00

**მარჯანიშვილის თეატრი**  
"გიორგი მახინაშვილი (დრო - 24:00 საათი)"  
დასაწყისი: 20.00

**მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენში)**  
"შერცხვენილი" (პრემიერა)  
დასაწყისი: 20.00

**თავისუფალი თეატრი**  
"იდიოტოკრატია - ანუ ძალიან სასაცილო კომედია"  
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**  
"სიყვარული, ნარკოტიკი და..."  
დასაწყისი: 20.00

კინო

**"ამირანი"**  
"გასეირნება ყარაბაღში 2: კონფლიქტის ზონა"  
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30; 20.30; 21.15  
"ნიკი და ნორა"  
დასაწყისი: 12.00; 16.00; 20.00  
"სხვა სამყარო 3"  
დასაწყისი: 14.00; 18.00; 22.15

**"საქართველო"**  
"დესპეროს თავგადასავალი"  
დასაწყისი: 13.00; 15.00  
"გასეირნება ყარაბაღში 2: კონფლიქტის ზონა"  
დასაწყისი: 17.00; 21.00  
"სხეულის გარეშე"  
დასაწყისი: 19.00

გამოფენები

**არტ გალერეა "ლაინი"**  
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერწერა, ქანდაკება)

**მეიდან არტ ჰოლი**  
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერწერა, ქანდაკება)

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**  
იტალიის საელჩო გინვეთ გამოფენაზე - "იტალიური სტილი".

**"მანანა არტ სალონი"**  
თანამედროვე ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა

**გალერეა "კამეა"**  
ქართველი მხატვრების ჯგუფური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ფაიფური, მინაქარი, ხის ნაკეთობები...)

**მინაქარის გალერეა "ორნამენტი"**  
მუდმივმოქმედი ტიხრული მინაქარის გამოფენა-გაყიდვა

### ბანცხალვა ტენდერის შესახებ

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მისამართი: ქ. ზუგდიდი, 2100 რუსთაველის ქ. №90) აცხადებს ტენდერს **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში საგანმანათლებლო დაწესებულებების გადახურვითი საშუალების შესყიდვაზე** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
2. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 3 (სამი) ლოტად:
  - ლოტი №1 - კახათის №2 საჯარო სკოლის გადახურვითი საშუალებები;
  - ლოტი №2 - ოქტომბრის საჯარო სკოლის გადახურვითი საშუალებები;
  - ლოტი №3 - ონარიის საჯარო სკოლის გადახურვითი საშუალებები;
3. შესასრულებელი საშუალების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.
4. საშუალების შესრულების საგადასახადო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 (ორმოცდაათი) დღის განმავლობაში.
5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე ორ ვებმძლავრად (ორიგინალის და ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით) უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით **2009 წლის 7 მაისს, 10 სთ-დან 15 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი №3.** სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნეს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმოწერილი და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

#### 6.1 იურიდიული პირისათვის:

- ა) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოადგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გააკტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოადგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- გ) ცნობას, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოადგენილი უნდა იქნას საჯარო რეგისტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანიზაციისგან).

#### 6.2 ფიზიკური პირისათვის:

- ა) ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქვედუნარიანია;
- ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გააკტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოადგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- გ) ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის საბუთი;
- დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი.

#### 6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ბ) ამონაწერი სამწარმოო რეგისტრაციის შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- გ) ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დაგვიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
- დ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში;

ვ) ინფორმაცია უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში ანალოგიური საშუალების განხორციელების გამოცდილების შესახებ (საშუალოს მითითებით, რომელიც შესრულებულ იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, ინფორმაცია წარმოადგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად);

№	საშუალოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შენიშვნა: ხელშეკრულების ასლების წარმოება, თუ კონფიდენციალური არ არის
1				
2				
და ა.შ				

7. სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში მათი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს მე-6 მუხლში მითითებულ ცნობებსა და ინფორმაციას.
8. დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.
9. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2009 წლის 7 მაისს, 15 სთ-ზე**, სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე, პრეტენდენტების თანდასწრებით, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
11. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.
12. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მისაკრებლის გადახდისა და შესაბამისი ქვითრის წარმოადგენის შემდეგ შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნებიდან საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების მიღების დასრულებამდე, **შემდეგ მისამართზე ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი №3.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. ტენდერში მონაწილეობაზე დაინტერესებულ პრეტენდენტს უფლება აქვთ სატენდერო მისაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
13. სატენდერო მისაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: **ბანკის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი - სახელმწიფო ბანკი, კოდი 220101222, საბანკო კოდი 300343174, გადახდის დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მისაკრებელი..**
14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბესიკ ქარაძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: **ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, მე-4 სართული, მე-3 ოთახი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკონტაქტო ტელეფონი: 8(215) 5-19-39.**

სატენდერო კომისია

### ინფორმაცია

#### სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ტენდერის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2009 წლის 1 იანვრიდან "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯების ფარგლებში გამოცხადებულია 5 ერთეობიანი ტენდერი:

1. **სააგენტოს განყოფილებების ოფისების რემონტების ჩასატარებლად საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა - ერთეობიანი ტენდერი.**  
განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა: 2009 წლის 22 იანვრის გაზეთში "24 საათი".  
ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - ს/ს "საქქალაქმშენპროექტი".
2. **სააგენტოს საჭიროებისათვის საწვავის შესყიდვა - ერთეობიანი ტენდერი.**  
განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2008 წლის 4 თებერვლის გაზეთში "24 საათი".  
ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - ს/ს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია".
3. **სააგენტოს საჭიროებისათვის პოლიგრაფიული მომსახურების შესყიდვა - ერთეობიანი ტენდერი.**  
ლოტი 1. სააგენტოს დოკუმენტაციის ბეჭდვა  
ლოტი 2. საქალაქმშენების დამზადება  
ლოტი 3. სარეკლამო საშუალებების ბეჭდვა  
ლოტი 4. საიდენტიფიკაციო საშუალებების ბეჭდვა

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2009 წლის 17 თებერვლის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებული ორგანიზაციები, რომლებთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები:  
ლოტი 1 - შ.პ.ს. "პოლიგრაფ თბილისი"  
ლოტი 2 - შ.პ.ს. "პოლიპრინტი"  
ლოტი 3-4 - გამოცხადდა ჩაშლილად, ვინაიდან, არცერთი პირის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ შეესაბამებოდა შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. **სააგენტოს საჭიროებისათვის საოფისე ავეჯის შესყიდვა - ერთეობიანი ტენდერი**  
ლოტი 1. მოსაცდელის სკამი  
ლოტი 2. საოფისე სკამები და სავარძლები:  
ლოტი 3. - ავეჯი:  
განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2009 წლის 17 თებერვლის გაზეთში "24 საათი".  
ტენდერის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებული ორგანიზაციები, რომლებთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები:  
ლოტი 1-2 - შ.პ.ს. "ჯეოსტილი"  
ლოტი 3 - შ.პ.ს. "ემბაუდ ჯორჯია"

5. **სააგენტოს საჭიროებისათვის კონდიციონერების შესყიდვა - ერთეობიანი ტენდერი**  
განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2009 წლის 20 თებერვლის გაზეთში "24 საათი".  
ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - "ფაქტორ ელექტრონიქსი".









1989 წლის 15 აპრილს "ლივერპულსა" და "ნოთინგემ ფორსტს" შორის ინგლისის თასის ნახევარფინალური შეხვედრისას შეფილდის სტადიონზე ტრაგედია დატრიალდა. "ლეპინგზ ლეინზე" ჭყლეტვისას სიცოცხლეს გამოესალმა 96 ადამიანი. "ჰილსბოროს" სახელით ცნობილი ტრაგედიიდან 20 წლის თავზე "ენფილდზე" დაღუპულთა ოჯახის წევრებმა, მათმა ახლობლებმა და საერთოდ ყველა ლივერპულელმა და ფეხბურთის გულშემატკივარმა დაღუპულთა სულები მოიგონეს.

www.24sat.ge **24 საათი** ურთიერთობის

The New York Times  
Articles selected for **24 საათი**

**Weekend**

1 მარტიდან

საჯალბო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

- 1 წლით ————— 52 ლარი;
- 6 თვით ————— 26 ლარი;
- 3 თვით ————— 13 ლარი;
- 1 თვით ————— 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;





### ბანკსადასტურებელი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12) აცხადებს ტენდერს 2009 წლის მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უშაქრო დიაბეტი დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის მიხედვით ადიურეზული ჰორმონის შესყიდვაზე და ინვესს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის ობიექტია **ადიურეზული ჰორმონი (ან მისი ანალოგი) - ცხვირის წვეთები, 5 მლ ფლაკონში, 5 000 ფლაკონი ან აღნიშნულის ექვივალენტური რაოდენობის საქონელი ნებისმიერი სხვა ფორმით/დაფასებით.**

3. საქონლის მიწოდების ვადაა:  
- საქონლის 50% - არა უგვიანეს 2009 წლის 1 ივნისისა.  
- საქონლის დანარჩენი მოცულობა - ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, არა უგვიანეს 2009 წლის 1 ნოემბრისა.  
საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს პირობით: **INCOTERMS-2000, DDP** - თბილისი, უზნაძის ქ. N76/1.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლება 2009 წლის 8 მაისის 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდინან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-4 სართული, ოთახი N413.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2009 წლის 11 მაისის 10-დან 13 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-6 სართული, სააქტო დარბაზი. **დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.**

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:  
6.1. იურიდიული პირისათვის:  
ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);  
ბ) სამენარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლეთის სამსახურიდან);  
გ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);  
6.2 ფიზიკური პირისათვის:  
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;  
ბ) დოკუმენტი გადასახადის გადამდელად დარეგისტრირების შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);  
გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).  
6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის - სამკურნალო საშუალების საქართველოში რეგისტრაციის მოწმობა;  
7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ერთი ეგზემპლარად ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.  
8. მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.  
9. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები).  
10. განცხადების 6.1. და 6.2. პუნქტებში მითითებული ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.  
11. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.  
12. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის (სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის (ხელშეკრულების 2%-ის ოდენობით) მექანიზმი, საბანკო გარანტიის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის სახით.  
13. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს **სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე**, შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახი N413.  
14. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-12 პუნქტითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები/დოკუმენტები შემდგომ დაზუსტებას/შეცვლას არ ექვემდებარება.  
15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 932294, ალექსანდრე მამალაძე, გულსუნდა ონიანი ტელ.: 936629, მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახები N 412, N413.

სატენდერო კომისია

### ბანკსადასტურებელი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ (მის. ქ. თბილისი 0102, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ერთჯერაობით ტენდერს და ოქვეს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს სააგენტოს განყოფილებების ოფისების სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე შემდეგი ღირებულების მიხედვით:  
